



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება №138

2013 წლის 10 ოქტომბერი  
ქალაქი ხაშური

საწვავი ხის მასალის (სათბობი შეშის) გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2013 წლის 9 სექტემბერს (სატენდერო განცხადება (SPA130019669) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი საწვავი ხის მასალის (სათბობი შეშის) შესყიდვაზე, რომელსაც 13 სექტემბერს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“, 2013 წლის 25 სექტემბერს განმეორებით გამოცხადდა (სატენდერო განცხადება (SPA130021073) გამარტივებული ელექტრონული ტენდერი საწვავი ხის მასალის (სათბობი შეშის) შესყიდვაზე, რომელსაც 2013 წლის 1 ოქტომბერს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურისათვის საწვავი ხის მასალის (სათბობი შეშის) შესყიდვა კი, მკაცრი კლიმატური პირობების გათვალისწინებით, აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსის 2013 წლის 2 ოქტომბრის N154 მოხსენებითი ბარათის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #52 დადგენილებით დამტკიცებული ხაშურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურისათვის საწვავი ხის მასალის (სათბობი შეშის) გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განხორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე  
დავით ლომიძე